საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 34 05/08/2019

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და

მონიტორინგის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს(ნ. თოფურიძე) მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ ანგარიშში მერიის სამსახურებისა და ა.ა.(ი) პ-ის საქმიანობის შემოწმებისას გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია წარმოუდგინოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის ნოემბრის თვის სხდომაზე.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით

დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე